

პროექტის აღწერილობა

1. პროექტის სახელწოდება – „საქართველო და ევროკავშირი ბუნების სადარაჯოზე“

2. შესავალი

მიზანი

მოსწავლეებში ეკოცნობიერების ამაღლება საქართველოს და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ბუნებრივი ლანდშაფტების შესწავლის საშუალებით.

ამოცანები

- მოსწავლეთათვის აღნიშნულ დაცულ ტერიტორიებზე არსებული ენდემების აღწერა
- მოსწავლეთათვის საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის ზრდის როლის ჩვენება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის
- დაცულ ტერიტორიებზე ჩვენი სკოლის მიერ ეკოტურისტული აქტივობების განხორციელება
- მოსწავლეების მიერ დაცული ტერიტორიების ტურისტული რუკების შექმნა
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეკოტურისტული პოტენციალის განსაზღვრა და მოსწავლეების მიერ ეკოტურისტული მარშრუტების შექმნა Google Map-ის მეშვეობით
- მოსწავლეთათვის ევროკავშირის ქვეყნებისა და საქართველოს მიერ საერთო განხორციელებული პროექტების გაცნობა

მოსალოდნელი შედეგები

- პროექტის განხორციელების დასრულებისას მოსწავლეებს შეექმნათ წარმოდგენა თითოეულ დაცულ ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი ლანდშაფტის შესახებ
- მოსწავლეები გაეცნენ თუ რა ფინანსური დახმარება გაუწიეს ევროკავშირის ქვეყნებმა საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარებას
- მოსწავლეებმა უფრო საფუძვლიანად შეისწავლეს მდგრადი განვითარების პრინციპები დაცული ტერიტორიების კუთხით
- მოსწავლეებმა შეძლეს პარალელის გავლება საქართველოსა და ევროპის დაცული ტერიტორიების ლანდშაფტებს შორის
- მოსწავლეებმა შეიძენეს ფართო ინფორმაცია აღნიშნულ დაცულ ტერიტორიებზე, რის შედეგადაც უფრო მეტად გაუწიეს პოპულარიზაცია მათ და გააცნეს უცხოელ ტურისტებს სოციალური მედიის საშუალებით

3. პროექტის მნიშვნელობა

რადგან საქართველოსთვის ძალიან აქტუალური და მტკივნეული თემაა ევროკავშირში გაწევრიანება, ჩვენ გადავწყვიტეთ წარმოგვედგინა პროექტი „ საქართველო და ევროკავშირი ბუნების სადარაჯოზე“. ამ პროექტში საქართველო წარმოვაჩინეთ ყველაზე მდიდარი კუთხით , კერძოდ დაცული ტერიტორიებით, რომელიც ქვეყნის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. ასევე ჩვენ გავავლეთ პარალელი ევროკავშირის წევრი ქვეყნების ყველაზე მეტად მონახულებად და ცნობილ ბუნების ლანდშაფტების შესახებ და აღმოვაჩინეთ ბევრი მსგავსება საქართველოსა და ევროკავშირის რამოდენიმე ქვეყნის ლანდშაფტებს შორის. პროექტში განხორციელებული აქტივობები ხელმისაწვდომი იქნება, როგორც მოსწავლეთათვის ასევე ყველა მოქალაქისათვის სოციალური მედიის საშუალებით, რათა აიმაღლონ ეკოცნობიერება და გაეცნონ ევროკავშირის ქვეყნების

ღირებულებებს. ასევე მათ შეეძლებათ შეაფასონ და ანალიზი გაუკეთონ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ბუნების ძეგლებს და ნახონ ჩვენს მიერ შექმნილი ეკომარშრუტები Google Map-ში. ეს პროექტი გათვლილია ყველა ასაკობრივ ჯგუფზე და უცხო ქვეყნის მოქალაქეებზეც, რადგან პროექტი დამუშავებულია, როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენაზე. პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა ასევე ავტვირთვით ონლაინ სივრცეში.

4. პროექტის აღწერა და განხორციელება

მოცემული პროექტი დაგეგმეთ 2015 წლის მაისში და ის არის გრძელვადიანი, რადგან საკმაოდ ბევრ და მრავალფეროვან აქტივობებს მოიცავს. პროექტში მონაწილეობენ VII-VIII-IX კლასის მოსწავლეები.

I ეტაპი

თავდაპირველად მოსწავლეებმა ინტერნეტისა და ხელმისაწვდომი ლიტერატურის მეშვეობით მოიძიეს ინფორმაცია საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ (იხ. *დანართი 1.1 ; დანართი 1.2 ; დანართი 1.3*).

II ეტაპი

მოძიებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით მოვაწყვეთ შემეცნებითი ეკო-ტურისტული ექსკურსიები შემდეგ დაცულ ტერიტორიებზე:

- **თბილისის ეროვნული პარკი** – აქტივობა განხორციელდა 2015 წლის მაისში და მონაწილეობას იღებდნენ VII და VIII კლასის მოსწავლეები. აქტივობის მიზანი იყო ბაღის ფრინველებზე დაკვირვება. რათა ჩვენთვის სასურველი შედეგი მიგვეღო თბილისის ეროვნულ პარკში გავემგზავრეთ დილის 04:30-ზე. მონაწილე კლასები დავყავით ჯგუფებად და განსხვავებულ მარკირებულ ბილიკებს გაუყვინენ, რომ ფრინველების აღრიცხვა განეხორციელებინათ. აქტივობა გაგრძელდა 2 საათი, რის შემდეგაც თითოეულმა ჯგუფმა წარმოადგინა ფოტო და ვიდეო მასალები ნანახის შესახებ. შეჯამების დროს მოსწავლეებმა გაიაზრეს თუ რამდენად მრავალფეროვანი ფრინველები ბინადრობენ მოცემულ დაცულ ტერიტორიაზე (იხილეთ პროექტის მსვლელობის ვიდეო მასალა <https://www.youtube.com/watch?v=3SSVmjIpI9Q> და *დანართი 2*).
- **პრომეთეს მღვიმე** – აქტივობა განხორციელდა 2015 წლის ივნისში და მონაწილეობას იღებდნენ VII კლასის მოსწავლეები. აქტივობის მიზანი იყო მღვიმის სამეცნიერო-რეკრეაციული შესწავლა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ბიომრავალფეროვნების შესახებ ინფორმაციის მოგროვება. მოსწავლეებმა თეორიული ცოდნის ანალიზი განახორციელეს პრაქტიკულად მღვიმეში ყოფნის დროს. ისინი განასხვავებდნენ სტალაქტიდებს, სტალაქმიტებს, სტალაგნატებს და მინერალებს. ისინი აღფრთოვანდნენ ბუნების ამ სიძლიერითა და სილამაზით. მღვიმიდან გამოსვლა ორი ბილიკითაა შესაძლებელი. ჯგუფი გავყავით ორ ნაწილად. ერთი ჯგუფი მღვიმის ერთ-ერთ დარბაზიდან გამოვიდა, ხოლო მეორე მდინარის სანაოსნო ბილიკს გამოჰყვა. ხოლო შემდეგ მღვიმის მიმდებარე ტერიტორიაზე დავაკვირდით არსებულ ლანდშაფტს (იხ. *დანართი 2*).
- **ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი** – აქტივობა განხორციელდა 2015 წლის სექტემბერში და მონაწილეობას იღებდნენ VIII კლასის მოსწავლეები. დაგეგმილი იყო სამი აქტივობა ა) მუზეუმის დათვალიერება; ბ) შემეცნებითი თამაში „სივრცეში გაგნება GPS-ის და კომპასის მეშვეობით“; გ) ეროვნული პარკის შრეობრივ-გეოლოგიური ქანების აგებულების აღწერა და ანალიზი. პირველი აქტივობის დროს ვეწვიეთ მუზეუმს, სადაც გიდმა მოსწავლეებს აუხსნა,

რომ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი ყველაზე დიდი ეროვნული პარკია მთელს კავკასიაში და ის ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლების მრავალფეროვნებითა და რიცხოვნობით გამოირჩევა. აღსანიშნავანია, რომ მუზეუმში წარმოდგენილი იყო იმ ცხოველთა ფიტულები, რომლებიც პარკის მთიან ადგილებში ბინადრობენ და ექსკურსიების დროს მათი ნახვა თითქმის შეუძლებელია. ამიტომ მათ დასაფიქსირებლად და რიცხოვნობის დასადგენად დამონტაჟებულია ფოტო ხაფანგები. მეორე აქტივობის დროს პარკის ტერიტორიაზე დავმალეთ რამოდენიმე ნივთი და მოსწავლეები დავყავით ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს მივეცით ინფორმაცია კოორდინატების სახით და ტყეში სხვა გაგნების საშუალებების მინიშნებით. რომ GPS-ის და კომპასის მეშვეობით დამოუკიდებლად მოეძებნათ ნივთები. აქტივობა ძალიან ხალისიანად და შედეგიანად ჩატარდა. მესამე აქტივობის დროს ვაკვირდებოდით და ფოტო მასალას ვაგროვებდით ხეობის ქანების აგებულების შესახებ (იხ. *დანართი 2*).

- **ლაგოდების ნაკრძალი** – აქტივობა განხორციელდა 2015 წლის ოქტომბერში და მონაწილეობას იღებდნენ VII და VIII კლასის მოსწავლეები. პროექტის მიზანი იყო შემეცნებითი ბილიკების აღწერა და ანალიზი. თითოეულ ბილიკის დასაწყისში ბანერზე წარმოდგენილი იყო დახასიათება დაცულ ტერიტორიაზე არსებული ცხოველების, ვიზიტორთა ქცევის წესების, ხე-ტყის ზრდის, ხმაურის კონტროლის შესახებ. თითოეულ ბილიკზე მოსწავლეები თვითონ ახორციელებდნენ ბილიკზე მოცემულ დავალებას და სხვადასხვა ბინადართა როლს ირგებდნენ. მოსწავლეებმა ასევე ისწავლეს გადაჭრილის ხის მორებზე დაკვირვებით მათი ასაკის განსაზღვა, ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრა და მდინარის კალაპოტის აღწერა. მათ ასევე მოინახულეს ნაკრძალის ტერიტორიაზე არსებული შემეცნებითი მუზეუმი, სადაც წარმოდგენილი იყო ნაკრძალის ტერიტორიაზე ბინადარი ცხოველების ექსპონატები ფიტულების სახით. მოსწავლეებმა გაიაზრეს მათი მნიშვნელობა, რადგან ბევრი მათგანი შეტანილია საქართველოს წითელ წიგნში (იხ. *დანართი 2*).

III ეტაპი

დაიგეგმა ინტეგრირებული გაკვეთილი თემაზე „ბიომრავალფეროვნების კლება“. აქტივობა ჩატარდა 2015 წლის სექტემბერში და მონაწილეობას იღებდნენ VII კლასის მოსწავლეები. აქტივობის დროს მოსწავლეებმა მოიძიეს ინფორმაციები, დააკავშირეს გეოგრაფიაში ნასწავლი გარემოს დეგრადაციის საკითხები ბიომრავალფეროვნების კლებასთან, შექმნეს საპრეზენტაციო მასალები, იმსჯელეს მგრადი განვითარების შესახებ, შექმნეს ციფრული მასალები: დიაგრამები და პლაკატები (იხ. *დანართი 2* და *დანართი 3*).

IV ეტაპი

დაიგეგმა ინტეგრირებული გაკვეთილი თემაზე „საქართველოს დაცული ტერიტორიების ტურისტული რუკა“. აქტივობა ჩატარდა 2015 წლის ოქტომბერში და მონაწილეობას იღებდნენ IX კლასის მოსწავლეები. კლასი დაიყო სამ ჯგუფად და ადმინისტრაციული-ტერიტორიული რუკის დახმარებით დაქონდათ ფოტო მასალები ადგილმდებარეობის მიხედვით. პირველი ჯგუფი ამზადებდა ნაკრძალების რუკას, მეორე ჯგუფი ეროვნული პარკებისა და ადგილობრივების რუკას, ხოლო მესამე ჯგუფი ბუნების ძეგლებისა და დაცული ლანდშაფტების რუკას. რუკების შექმნის დასასრულს თითოეულმა ჯგუფმა წარმოადგინა მათ მიერ შექმნილი ტურისტული რუკები და თეორიული მასალები პრეზენტაციების სახით (იხ. *დანართი 4*).

V ეტაპი

დაიგეგმა გამოფენის დათვალიერება, რომელიც მოეწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზში 2016 წლის იანვარში. გამოფენის ავტორი იყო გეოგრაფ-სპელოლოგიის მაგისტრი ლაშა ასანიძე, რომელმაც წარმოადგინა როგორც საქართველოში ასევე ევროპაში მისივე გამოკვლევითი მღვიმეების ფოტო გალერეა და დახასიათება. გამოფენას დაესწრნენ IX კლასის მოსწავლეები, რომლებმაც უშუალოდ ავტორთან გასაუბრების შემდეგ მრავალი ინფორმაცია მიიღეს მღვიმეების წარმოშობისა და განვითარების შესახებ. რადგან ჩვენი პროექტის ფარგლებში ვეცნობით საქართველოსა და ევროკავშირის მღვიმეების დახასიათებას. ამ გამოფენამ და მის ავტორმა უამრავი ახალი ინფორმაცია მოგვაწოდა (იხ. დანართი 2).

VI ეტაპი

დაიგეგმა შემეცნებითი ვიზიტი *გარემოსდაცვით ინფორმაციისა და განათლების ცენტრში*. აქტივობა განხორციელდა 2016 წლის თებერვალში. მონაწილეობა მიიღეს IX კლასის მოსწავლეებმა. ვიზიტის დროს მინი-კონფერენცია ჩაგვიტარა ქალბატონ ნატო სულთანისვილმა დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების შესახებ. შეხვედრა წარიმართა დიალოგის ფორმატში. მოსწავლეებს შეხვედრამდე უკვე ჰქონდათ მოძიებული ინფორმაცია კონკრეტული დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების შესახებ და აქტიურად პასუხობდნენ დასმულ კითხვებს. შეხვედრისას მოსწავლეებმა მიიღეს ბევრი ახალი ინფორმაცია დაცულ ტერიტორიებზე, რის შედეგადაც მოამზადეს შემაჯამებელი პრეზენტაცია, რომელიც ასევე ავტორთათვის ონლაინ სივრცეში (იხ.ლინკი <http://www.calameo.com/read/0046786508201a7a1b760>).

VII ეტაპი

მოცემულ ეტაპზე მოსწავლეებს დავავალეთ მოეძიათ ინფორმაცია ევროკავშირის დაცული ტერიტორიების შესახებ. განსახილველად შევარჩიეთ ყველაზე ცნობილი და მონახულებადი ადგილები. ასევე პარალელი გავავალეთ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ გამორჩეულ ბუნებრივ ძეგლებთან და ბევრი საერთო აღმოვაჩინეთ. რის შემდეგაც შევადგინეთ ორენოვანი საინფორმაციო ონლაინ გალერეა საქართველოსა და ევროპის დაცულ ტერიტორიებზე (იხ.ლინკი <http://www.calameo.com/read/004678650e6244c3f3375>).

VIII ეტაპი

პროექტის წინა ეტაპზე დაცულ ტერიტორიებზე გამოვყავით ორი გამორჩეული მარშრუტი ოკუპირებულ ტერიტორიებზე და IX კლასის მოსწავლეებმა მასწავლებლის დახმარებით შეადგინეს ეკოტურისტული მარშრუტები. ა) ბიჭვინთა - გეგის ჩანჩქერი - რიჩის ტბა ბ) ახალგორი - ლარგვისი - ყელის ტბა (იხ.ლინკი <https://www.google.com/maps/d/viewer?mid=zzxgvB1OqQC.s.kjC8VhrrxTac> და დანართი 5).

IX ეტაპი

2016 წლის თებერვალში განხორციელდა აქტივობა, რომლის ფარგლებში მოსწავლეებმა მოიძიეს ინფორმაცია საქართველოში ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ დაფინანსებული და განხორციელებული პროექტების შესახებ დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებით. ინფორმაციის ნაწილი მოგვაწოდა ბატონ ლაშა მოისწრაფისვილმა, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავჯდომარემ. აქტივობისას მოსწავლეებმა გააკეთეს ანალიზი, როგორც დასრულებული ასევე მიმდინარე პროექტების შესახებ. მათ მიიღეს ინფორმაცია თუ რომელი ევროკავშირის ქვეყანა იღებდა და იღებს მონაწილეობას საქართველოში დაცული ტერიტორიების აღდგენაში, აღორძინებასა და ტურისტულ განვითარებაში (იხ. დანართი 6).

5. შედეგების ანალიზი

პროექტში მონაწილობას იღებდა VII-VIII-IX კლასის 120-მდე მოსწავლე და 3 პედაგოგი. გეოგრაფიის პედაგოგები მარინა ხარიტონაშვილი, ილია ოქრომელიძე და ბიოლოგიის პედაგოგი დარეჯან ლორთქიფანიძე. პროექტზე მუშაობის დროს შევიძინეთ პრაქტიკული ცოდნა, როდესაც განვახორციელეთ ოთხი ეკოაქტივობა დაცულ ტერიტორიებზე. ასევე შევქმენით რამოდენიმე ინტერნეტ რესურსი და ავტორითე ის, როგორც Calameo-ის საიტზე ასევე ჩვენს პროფესიულ ბლოგებზე <http://intelmarikharitonashvili.blogspot.com/> ; <http://darejanlortqifanidze.blogspot.com/> . პროექტზე მუშაობის დროს ვითანამშრომლეთ მრავალ კოლეგასთან, რომლებმაც მოგვაწოდეს დამატებითი არასაჯარო ინფორმაცია პროექტის თემასთან დაკავშირებით. მოსწავლეებს განუვითარდათ ინფორმაციის მოძიების, ანალიზისა და საქართველოს დაცული ტერიტორიების დაცვისა და მოვლის უნარი. მოსწავლეებმა პროექტის მსვლელობის დროს შეიძინეს შემდეგი გამოცდილებები: ჯგუფური მუშაობა, ინფორმაციის მოძიება და დახარისხება, პრეზენტაცია, ონლაინ სივრცეში განთავსება, ბუნებაში ქცევის წესები, გეოგრაფიული ხელსაწყოების გამოყენება, ეკოტურისტული მარშრუტებისა და ტურისტული რუკების შექმნა. მათ ასევე შეისწავლეს გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების პრინციპები.

6. პროექტის რესურსები

ბიბლიოგრაფია/ინტერნეტი/ტექნიკა/პირადი კონსულტაციები

1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. <http://moe.gov.ge>
2. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. <http://www.eiec.gov.ge>
3. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი საქართველოში. <http://biomonitoring.moe.gov.ge>
4. დაცული ტერიტორიების სააგენტო. <http://apa.gov.ge>
5. ჩვენი ღირსებანი. წიგნი II, III, IV გამომცემლობა ემ-პი-ჯი და წიგნიერი. თბილისი: 2012.
6. საქართველოს სსრ წითელი წიგნი, თბ. 1982.
7. ბუნების ატლასი, საქართველოს მცენარეები და ცხოველები, თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
8. ნოდარ ელიზბარაშვილი, ბონდო კუპატაძე. საქართველოს 100 ღირსშესანიშნაობა. კლიო, 2011.
9. საქართველოს გეოგრაფია, წიგნი I, თბ. 2005.
10. ხარაძე კ. საქართველოს ბუნების ძეგლები, თბ. 2014.
11. აფხაზავა ალ. რიწის ტბა. კრ. საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული ნარკვევები, თბ. 1969.
12. მარუაშვილი ლ. მღვიმეთმცოდნეობის საფუძვლები. თსუ 1973.
13. ტინტილოზოვი ზ., ჩანგაშვილი გ., ოქროჯანაშვილი არს., არბიკის კირქვული მასივის კარსტულ-სპელეოლოგიური თავისებურებანი. კრ. საქართველოს გეოგრაფიის პრობლემები. თბილისი 1965.
14. ტექნიკა: ფოტო აპარატი, ვიდეო კამერა, GPS, კომპასი, პლანშეტი, სმარტფონი.
15. კონსულტაციები: 1. გიორგი დვალაშვილი – გეოგრაფიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ პროფესორი 2. ლაშა ასანიძე – გეოგრაფ-სპელეოლოგიის მაგისტრი 3. ნატო სულთანაშვილი – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის უფროსი 4. ლაშა მოისწრაფიშვილი – დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავჯდომარე
7. ვითანამშრომლეთ ა(ა)იპ საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციასთან, რომელმაც მოგვაწოდა ინფორმაცია 2014–2016 წლებში დაცული ტერიტორიების ტურისტული როლის ზრდის შესახებ და დაგვეხმარა პროექტის მეორე ეტაპში ოთხი ეკოტურისტული აქტივონის განხორციელებაში (ინფორმაცია ასოციაციის შესახებ იხილეთ *დანართში 7*).